საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/50

ქ. ბათუმი 09 ნოემბერი, 2022 წ

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის ნოემბერში ჩატარებული არჩევნების შედეგად არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ცნობის, საბჭოს სპიკერისა და მდივნის არჩევის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის და ბსუ-ს წესდების მე-10 და 33-ე მუხლების, ,,2022 წლის ნოემბერში ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად ასარჩევი საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 19 ოქტომბრის N01-02/243 ბრძანების,** ,,ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 19 ოქტომბრის N01-02/244 ბრძანების,** ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 1-2 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების შედეგების შესახებ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (N1417643, 07.11.2022), სსიპ- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2022 წლის 10 აგვისტოს N889178 წერილის, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის კანდიდატურის წარმოდგენის თაობაზე არჩეული წევრების ერთობლივი განცხადების (N1423549, 08.11.2022 წ) და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (09.11. 2022 წლის N07-02/08 საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2022წლის 01-02 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად ცნობილი იქნეს 2022 წლის 14 ნოემბრიდან 4 წლის ვადით არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილება **(დანართი 1 -** წარმომადგენლობითი საბჭოს არჩეული 23 წევრი და 1 წევრი - ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დირექტორი).
2. წარმომადგენლობითი **საბჭოს მდივნად** არჩეული იქნეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ნანული მახარაძე.**

3. წარმომადგენლობითი საბჭოს **სპიკერად არჩეული იქნეს** ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი **ჯემალ კარალიძე,** წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით (2022 წლის 14 ნოემბრიდან 4 წლის ვადით).
4. სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურმა უზრუნველყოს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს არჩეული სპიკერის შესახებ ინფორმაციის უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა.
5. გადაწყვეტილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას), საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, იურიდიულ დეპარტამენტს და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს.
7. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი **ანზორ დევაძე**

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 09 ნოემბრის
№07-01/50 გადაწყვეტილების

დანართი 1

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა
2022 წლის 14 ნოემბრიდან
4 წლის ვადით უფლებამოსილებით

(2022 წლის 01-02 ნოემბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს **23 წევრი** (მათ შორის 11 აკადემიური პერსონალი, 3 სამეცნიერო პერსონალი, 9 სტუდენტი) და **1** - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი).

წარმომადგენლობით საბჭოს წევრი **აკადემიური პერსონალის** წარმომადგენლები:

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. ჯემალ კარალიძე - პროფესორი;
2. ნანა მაზმიშვილი -ასოცირებული პროფესორი.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

1. ლალი ჟღენტი - ასოცირებული პროფესორი;
2. დავით ცეცხლაძე -პროფესორი.

ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

1. მიხეილ დონაძე - ასოცირებული პროფესორი;
2. ნუგზარ ღომიძე - პროფესორი.

ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. მურმან გორგოშაძე - პროფესორი.

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

1. გიორგი ქათამაძე - ასისტენტ-პროფესორი;
2. ნანული მახარაძე - ასოცირებული პროფესორი.

ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტი

1. ანზორ დევაძე - პროფესორი.

ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტი

1. ლამზირა გორგილაძე - ასოცირებული პროფესორი.

წარმომადგენლობით საბჭოს წევრი **სამეცნიერო პერსონალის** წარმომადგენლები:

ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

1. ოლეგ ჯიბაშვილი - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი

1. ავთანდილ ცინცქილაძე -უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი

1. ნელი ხალვაში -მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

წარმომადგენლობით საბჭოს წევრი **სტუდენტები:**

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

1. მარიამ მარკოიძე - ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სასწავლო წლის სტუდენტი;
2. თეა თავდგირიძე - ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

1. მარიამ ბოლქვაძე -,,მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სასწავლო წლის სტუდენტი;
2. სოფიო დოლიძე - ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წლის სტუდენტი.

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. თათია პაქსაძე - ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტი.
2. თამთა ჯაფარიძე -ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტი.

ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტი

1. ნინო ცინცაძე - არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წლის სტუდენტი.

ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტი

1. ანრი დუმბაძე -ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტი.

ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

1. მარიამ გაზაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წლის სტუდენტი.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი - ბსუ-ს **ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის** დირექტორი **ტარიელ ებრალიძე.**